## ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 56.

კოდი: 55500000.

ქ.თელავი 23. აპრილი 2013 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ ა. ა. (ი). პ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჰამლეტ რაზმაძის სახით, (ბრძ. № 2/243 23/04/ 2013წ.) შემდგომში „შემსყიდველი" ს.ნ. 231187168, ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1 და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ბუნებრივი აირი", სასტუმრო – რესტორანი „ძველი თელავი" წარმომადგენელი მისი დირექტორის გიორგი ქართლელიშვილის სახით. მისამართი, ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის № 1. ს/ნ. 231251007. შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და მისი საგანია: **თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსულ სტუმართათვის (12 პერსონაზე) კვების ობიექტის მომსახურება.**

### 2. ხელშეკრულების ობიექტი.

2.1. „მიმწოდებელი" ვალდებულებას კისრულობს „შემსყიდველის" ზეპირი მოთხოვნის შესაბამისად, „შემსყიდველს" გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

### 3. შესასყიდი მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი.

3.1. მომსახურების თარიღად ითვლება მისი ფაქტიური შესრულება.

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ.თელავი, ჩოლოყაშვილის № 1.

### 4. შესასყიდი მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი.

4.1. შესასყიდი მომსახურება, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო საანგარიშსწორებო დოკუმენტების (სასაქონლო ზედდებული და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერის შემდეგ.

4.2. შესასყიდი მომსახურების (მისი ნაწილის,ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია ერთჯერადად მიაწოდოს „მიმწოდებელს" შესასყიდი მომსახურების ნუსხა და მიწოდების ვადები, იმ პირობით, რომ „მიმწოდებელს" ქონდეს საჭირო დრო მომსახურებისათვის.

### 5. მხარეთა უფლება მოვალეობები.

5.1.„შემსყიდველი" ვალდებულია:

–გადაუხადოს „მიმწოდებელს" მომსახურების ღირებულება;

–მიიღოს გაწეული მომსახურება.

5.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

–მოსთხოვოს „მიმწოდებელს" სათანადო ხარისხის მომსახურების გაწევა.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

–გაუწიოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში.

–დაიცვას ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა.

5.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

–მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

## 6. ხელშეკრულების მოცულობა და საერთო ღირებულება.

6.1 .ხელშეკრულების საერთო ღირებულების მოცულობა განსაზღვრულია: 352 **(სამასორმოცდათორმეტი) ლარით.**

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმად მხარეები ირჩევენ: უნაღდო, ანგარიშსწორებას.

7.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდგომ და მისი შესრულების, (მოთხოვნის) საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების **4.1. პუნქტის პირობის შესრულება.**

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მომსახურების მიწოდების ვადების ,მიმწოდებლის" მიზეზით დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2%–ის ოდენობით.

8.2. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება „შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურების ღირებულების „მიმწოდებლისათვის" დაგვიანების შემთხვევაში.

## 9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები.

9.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება ადეკვატური მომსახურების მიწოდების ან გადახდილი ღირებულების მოთხოვნის უფლებით.

9.4. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს გზით.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2013წლის 15 მაისამდე.**

11.2 ხელშეკრულების ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოშობილი ურთიერთ ვალდებულებებისაგან.

## 12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები.

13.1. „შემსყიდველი"- ა. ა. ი. პ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს.ნ. 231187168, ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტის ქ. №1. ს.ს. „საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი: **BAGAGE 22.** ა/ა **GE90BG0000000444630700.**

13.2. „მიმწოდებელი"–შ.პ.ს. „ბუნებრივი აირი", სასტუმრო – რესტორანი „ძველი თელავი" ს/ნ. 231251007. მის. ქ.თელავი, ჩოლოყაშვილის № 1. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: **TBCBGE22.** ანგ.№ **GE41TB7999236020100001.**

„შემსყიდველი"

---------------------------------

/ ჰამლეტ რაზმაძე /

„მიმწოდებელი"

---------------------------------

/ გიორგი ქართლელიშვილი /